თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის სხდომის

ოქმი N 7

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა

კომისიის სხდომის

ოქმი N 6

ქ. თელავი 2019 წლის 24 მაისი

თავმჯდომარეობდა სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: ლევან კოჭლოშვილი

სხდომას ესწრებოდნენ სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ნანა ხვისტანი,** კომისიის წევრები: გიგა მამუკელაშვილი, ნიკოლოზ მაისურაძე, გიორგი ქიზიყელაშვილი, მიხეილ გრემელაშვილი, ლევან ლილუაშვილი, ტიტე დარეჯანიშვილი, დავით ღაღანიძე, მაია მარკოზაშვილი, ზურაბ ლილუაშვილი, არჩილი თვალიაშვილი.

სხდომას აგრეთვე ესწრებოდნენ: თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის უფროსი ტარიელ გალახვარიძე, საკრებულოს სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიაში მოწვეული სპეციალისტი მედეა ჩაფურიშვილი, თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. წინანდლის სამუსიკო სკოლის სამეურნეო ნაწილის გამგე ნუნუ დათუკიშვილი, მოქალაქე არჩილ მჭედლიშვილი.

დ ღ ი ს წ ე ს რ ი გ ი:

1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. წინანდლის სამუსიკო სკოლისათვის გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფესორ ალექსანდრე შავერზაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

მომხს. ლ. კოჭლოშვილი

მოისმინეს: 1. თელავის მუნიციპალიტეტის სოფ. წინანდლის სამუსიკო სკოლისათვის გამოჩენილი ქართველი კომპოზიტორის, საქართველოს სახალხო არტისტის, პროფესორ ალექსანდრე შავერზაშვილის სახელის მინიჭების შესახებ.

აზრი გამოთქვეს: ნუნუ დათუკიშვილმა აღნიშნა, რომ სოფ. წინანდლის სამუსიკო სკოლის პედაგოგიურ კოლექტივს არ გააჩნია სურვილი ამ ეტაპზე სკოლას ეწოდოს ალექსანდრე შავერზაშვილის სახელი.

ლევან კოჭლოშვილმა აღნიშნა, რომ როგორც წინანდლის მაჟორიტარი დეპუტატის ახსნა-განმარტებიდან ირკვევა, სოფლის მოსახლეობაში არსებობს რამოდენიმე ალტერნატივა სამუსიკო სკოლისათვის სახელის მინიჭების შესახებ.

გადაწყვიტეს: მიზანშეუწონლად იქნეს მიჩნეული აღნიშნული საკითხის დადებითად გადაწყვეტა.

სხდომის დასასრულს სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს აცნობა საკუთარი შვებულების შესახებ ამა წლის 1 ივნისიდან 20 ივნისის ჩათვლით, მან ასევე აღნიშნა, რომ მისი შვებულებაში ყოფნის პერიოდში კომისიის თავმჯდომარის მოვალეობას შეასრულებს კომისიის წევრი გიგა მამუკელაშვილი.

სოციალური, კულტურის,
განათლების და ახალგაზრდულ
საქმეთა კომისიის თავმჯდომარე: ლევან კოჭლოშვილი

სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: ნანა ხვისტანი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სოციალური, კულტურის, განათლების და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის

2019 წლის 24 მაისის სხდომაზე დასწრების

რეგისტრაცია

1. ლევან კოჭლოშვილი
2. გიგა მამუკელაშვილი
3. იოსებ პარწიკანაშვილი
4. ნიკოლოზ მაისურაძე
5. გიორგი ქიზიყელაშვილი
6. მიხეილ გრემელაშვილი
7. ლევან ლილუაშვილი
8. ბაადურ რევაზიშვილი

თელავის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

სამანდატო-საპროცედურო და იურიდიულ საკითხთა კომისიის

2019 წლის 24 მაისის სხდომაზე დასწრების

რეგისტრაცია

1. ნანა ხვისტანი
2. ტიტე დარეჯანიშვილი
3. დავით ღაღანიძე
4. მაია მარკოზაშვილი
5. ლევან კოჭლოშვილი
6. ზურაბ ლილუაშვილი
7. არჩილი თვალიაშვილი
8. ზაქარია გრიშიკაშვილი